



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 33
21/12/2017

33-06-4-201712211804



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბერი № 1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მიმდინარე წლის 22 დეკემბერს 12:00 საათზე (მის. ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 საკრებულოს სხდომათა დარბაზი).
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო